ემოციური ინტელექტის კვლევა შიზოფრენიით დაავადებულ პაციენტებში

ანა მგელაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი რევაზ კორინთელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

ემოციური ინტელექტის კვლევა შიზოფრენიით დაავადებულ პაციენტებში

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, პარანოიდული შიზოფრენიით დაავადებულ პაციენტებში, ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული თვისების დონის ემპირიული კვლევა, ამბულატორიისა და სტაციონარის პირობებში და მათი შედარება, ჯანმრთელ, საკონტროლო ჯგუფთან.

კვლევისას გამოყენებულ იქნა: ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული თვისების საკვლევი კითხვარი, რომელიც შემუშავებულია კ.ვ პეტრიდესის (K. V. Petrides) მიერ და ადაპტირებულია ქართულ ენაზე. ეს კითხვარი თვით-ანგარიშის ტიპის კითხვარია. მოიცავს 15 ცალკეულ სფეროს, რომლებიც ოთხ ძირითად ფაქტორად ერთიანდება. კითხვარი შეიცავს 153 დებულებას და იძლევა შემდეგ ქულებს: ემოციური ინტელექტის გლობალურ ქულას, 4 ფაქტორის ქულას და 15 ცალკეული სფეროს ქულას.

გამოკითხულ იქნა 40 ამბულატორიული და სტაციონარში მყოფი, 20-დან 70 წლამდე ასაკის, პარანოიდული შიზოფრენიით დაავადებული პაციენტები. ამ პაციენტებიდან ნაწილი წარმოადგენს, „აქტიური სათემო სერვისის“ პროგრამაში ჩართულ ამბულატორიულ და ნაწილი „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში“ მყოფ პაციენტს, აქედან 27 მამაკაცი და 13 ქალი. საკონტრლო ჯგუფს შეადგენდა 40 ჯანმრთელი ადამიანი, იგივე ასაკის 27 მამაკაცი და 13 ქალი.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ პარანოიდული შიზოფრენიით დაავადებულ პაციენტებს აქვთ დაბალი ემოციური ინტელექტის დონე, ჯანმრთელ ადამიანებთან შედარებით. ეს შედეგები ვრცელდება, როგორც ემოციური ინტელექტის საერთო დონეზე, ასევე მის 4 ფაქტორსა და 15 სფეროზე, რომლებშიც კლინიკურ ჯგუფს ჰქონდა დაბალი მაჩვენებელი საკონტროლო ჯგუფთან შედარებით.

ასევე, კვლევის შედეგების მიხედვით, კლინიკური ჯგუფის მდედრობით სქესს აღმოაჩნდა უფრო მაღალი ემოციური ინტელექტი, კლინიკური ჯგუფის მამრობით სქესთან შედარებით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პარანოიდული შიზოფრენია, ემოციური ინტელექტი.